თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №16

30 მარტი, 2018 წელი

ქ. თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ.გ“ ქვეპუნქტისა და „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის)“ მე-13 მუხლის საფუძველზე, N26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის 2018 წლის 28 თებერვლის N11 წერილიდან გამომდინარე:

მუხლი 1.
ცნობილი იქნეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის, ნუნუ ნათობიძის (პარტიულ სიაში N1) ადგილმონაცვლის, ლაშა ჯაშიაშვილის (პარტიულ სიაში N2) უფლებამოსილება.

მუხლი 2.
განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე